სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის დასკვნა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიამ განიხილა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და მის მიმართ გააჩნია აღნიშნული შენიშვნები:

,,მუხლი1. ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება.''

- ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახებს მიენიჭათ დაწესებული სარეიტინგო ქულა;
- ქვეპროგრამით მოსარგებლეებს ერთჯერადი ფულადი დახმარება ნაცვლად 200 ლარისა,მიეცემათ 400 ლარი .

,,მუხლი 14. ონკოლოგიური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება.''

ნაცვლად წარმოდგენილისა თითოეული ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ხარჯი განისაზღვროს წელიწადში 2000 (ორი ათასი) ლარით,საიდანაც მედიკამენტების წლიური ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათასი)ლარს.

სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის დასკვნა ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობისა და 2026 გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

კომისიამ განიხილა ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობისა და 2026 გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის დასკვნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა და მის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.